

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა/Economics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკონომიკის ბაკალავრი/Bachelor of Economics
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ნათელა წიკლაშვილი, პროფესორი, ელ.ფოსტა: natia.tsiklashvili@bsu.edu.ge მურმან ცეცხლაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: murman.Tsetskhladze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	240 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ბაკალავრები, რომლებიც ძირითადი ეკონომიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით ხსნიან მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებლებს; ✓ ინდივიდებისა და ფირმების მდგომარეობების მიხედვით შეუძლიათ ისაუბრონ თუ რომელი საქონლისა და მომსახურების წარმოება არის დეფიციტური, ღირებული და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაში; ✓ აგროვებენ ეროვნული შემოსავლების წარმოების, განაწილების და მოხმარების, დანაზოგების, ინვესტიციების, სავალუტო კურსის, საგადასახადო ბალანსის შესახებ სანდო ინფორმაციებს; ✓ არჩევენ საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებებს.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> ✓ განაზოგადებს ეკონომიკის ძირითად ცნებებს, თეორიებსა და პრინციპებს, პოსტულატებსა და კონცეფციებს, მიკრო და მაკროეკონომიკური მეთოდოლოგიასა და კანონზომიერებებს; ✓ ხსნის მიკრო და მაკროეკონომიკური ანალიზისათვის აუცილებელ თვისებრივ, სტატისტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებს, სტატისტიკური მასალის თავმოყრისა და დაჯგუფების პრინციპებს; ✓ აყალიბებს სახელმწიფო მმართველობითი სისტემის, სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის, სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისა და სოციალური ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს;

	<ul style="list-style-type: none">✓ არკვევს ქვეყანაში არსებულ ფინანსურ, სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციას, შრომის ბაზრის, მიგრაციის გამომწვევი ფაქტორებს, მოსახლეობის ცხოვრების დონის, სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობებს;✓ ეცნობა და აზიარებს რეგიონულ ეკონომიკაში, ტრანსნაციონალური კორპორაციების და საერთაშორისო ინვესტიციების სფეროში დაგროვილი მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების მოწინავე გამოცდილებას.
--	--